



MES 0 22 0000250347



14/03/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 28 თებერვალს**. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/88141079566?pwd=MXRRejFzN°Xc0QlBIL1pGVi8yRDB5UT09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

- მარიამ ქუჩულორა** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
- ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);
- გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
- თამაზ ბახტაძე** - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);
- ნატო მებურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
- ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
- გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
- თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
- თამარ ჯაფარიძე** - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

იურიდიული პირების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „იბერია“:

ირაკლი ავალიანი - დირექტორი,

ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოადგილე,

დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,

ნინო დარასელია - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

თემურ ღვინიაძე - პროგრამის განმახორციელებელი,

ვარლამ მინდელი - პროგრამის განმახორციელებელი,

მანანა გვიშიანი - პროგრამის განმახორციელებელი,

ქეთი უგლავა - პროგრამის განმახორციელებელი,

გიორგი დარციმელია - სერტიფიცირებული გიდების ასოციაციის ხელმძღვანელი,

ლიკა კილაძე - ა(ა)იპ განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC)-ის დირექტორი.

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“:

ფრიდონ ბუაძე - დირექტორი,

დარეჯან ჭელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯი:

რეზო შარაბიძე - დირექტორი,

მაკა ვარდოსანიძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი,

ნინო ხაჩიძე - ხარისხის მართვის სპეციალისტი,

ლალი მანთაშაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი პირი.

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი:

თეიმურაზ ლორთქიფანიძე - დირექტორი,

ნინო მაგანია - ხარისხის მართვის მენეჯერი,

როინ გრძელიშვილი - პროგრამის განმახორციელებელი პირი,

ლეთისო ტურძილაძე - პროგრამის განმახორციელებელი პირი,

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

თეა მახათელაშვილი,
ხათუნა ფარეიშვილი,
ზურაბ ხომასურიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 10:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა მარიკა ზაქარეიშვილი (საბჭოს მდივანი), შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის მიერ საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვრა საბჭოს წევრი – გიორგი გამყრელიძე, რომელმაც თანხმობა განაცხადა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ – „მელვინე-დეგუსტატორი“ /01277/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.
 2. სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ – „მარნის გიდი“ /01266/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.
 3. სსიპ კოლეჯ „ერქვანისთვის“ – „მარნის გიდი“ /01265/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.
 4. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის – „ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა“ /01294/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.
 5. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ცურვის ინსტრუქტორი“ /01207/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.
- საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი.

1.სსიპ კოლეჯ „იბერიასთვის“ – „მელვინე-დეგუსტატორი“ /01277/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა თეა მახათელაშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 24 იანვრის №56714 ბრძანების საფუძველზე, ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა მაია აბდულაძემ და დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „მეღვინე-დეგუსტატორი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2022 წლის 10 თებერვალს განახორციელეს ადგილზე ვიზიტი სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ მისამართზე - იმერეთის რეგიონი, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, რუსთაველის ქ. №112, სადაც განთავსებულია AC გარემო (სასწავლო სივრცე და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილი).

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „მეღვინე-დეგუსტატორი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

პროგრამის სახე - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5, პროგრამის ხანგრძლივობა - 14 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ. №112.

ვიზიტის დროს ექსპერტები შეხვდნენ კოლეჯის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებლებს, კოორდინატორებს და კოლეჯის სხვა წარმომადგენლებს. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი.

ასევე, ვიზიტები განხორციელდა პროგრამის ორ პარტნიორთან - სოფ. ოზჩაში ი/მ თამარი ღვალაძე (მაია აბულაძის მარანი) და სოფელ წითელხევში ფიზიკური პირი მაკა გელენიძე (დიტოს მარანი).

ვიზიტის დროს **ხარვეზი არ დაფიქსირებულა**. გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.9 რეკომენდებულია, დაზუსტდეს პარტნიორ საწარმოებში ვიზიტების რაოდენობა და მიზნობრიობა, განისაზღვროს პროგრამის რა ნაწილში დგება შედეგზე ორიენტირებული პარტნიორული თანამშრომლობა, შესაბამისად, დასაბუთდეს 6 (ექვსი) პარტნიორთან ეფექტური თანამშრომლობა.

წარმოდგენილი პროგრამა ხორციელდება დაწესებულების A C გარემოში, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, თუმცა პროგრამით გათვალისწინებული ყველა პროცესის ნახვისა და შედეგებზე გასვლისათვის პროგრამა საჭიროებს რეალურ გარემოში - პარტნიორ საწარმოებში ვიზიტების დასკვნის შედგენაში მონაწილე პირის/პირების ხელმოწერა: საათებისა და მიზნობრიობის დაზუსტებას. კოლეჯს ჰყავს 6 პარტნიორი, რომლებთანაც მემორანდუმები აქვს გაფორმებული.

ქვესტანდარტი 2.1 რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა ერთ-ერთმა პირმა (ვ.მ) აიმაღლოს მიზნობრივი კვალიფიკაცია, რადგან დარგთან შემხებლობა არ ჩანს მის არც ფორმალურ და არც არაფორმალურ განათლებაში, ხოლო გამოცდილება შემოიფარგლება მევენახეობა-მეღვინეობაში მინდელის გვარის ოჯახური ტრადიციით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროგრამის განმახორციელებელ პირთაგან ერთ-ერთის ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების,

კვალიფიკაციისა და მიზნობრივი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მეორე პირმა სასურველია აიმაღლოს მიზნობრივი კვალიფიკაცია.

ქვესტანდარტი 1.7 რეკომენდებულია, გათვალისწინებულ იქნეს მსმენელების - პრაქტიკოსი მევენახეების/მემარნეების დატვირთული სამუშაოების სეზონურობა, დღის განრიგი და აისახოს მათთვის შეთავაზებული პროგრამის „მეღვინე-დეგუსტატორი“-ს განრიგში.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 14 (თოთხმეტი) კვირას, კვირეული სასწავლო დატვირთვაა 20 სთ, სულ - 280 სთ. ვიზიტის დროს პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა საკმარისია წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

ექსპერტმა საბჭოს წინაშე წარადგინა ფოტომასალა, რომელზეც ასახული იყო კოლეჯისა და პარტნიორი საწარმოს ბაზაზე არსებული სასწავლო გარემო. მან დასძინა, რომ დაწესებულებას არ აქვს გრძელვადიანი პროგრამა, არსებული გარემო და აღჭურვილობა მთლიანად მოკლევადიანი პროგრამისთვისაა განკუთვნილი. იგეგმება მარანის აშენება, სადაც დასჭირდებათ ადამიანური რესურსის კონცენტრაცია. უნდა დაზუსტდეს, პროგრამის რა ნაწილში, რა მიზანი მიიღწევა პარტნიორ კომპანიებთან თანამშრომლობით. „მეღვინე-დეგუსტატორისა“ და „მარნის გიდის“ პროგრამებისთვის პარტნიორი კომპანიები საერთოა, თუმცა „მეღვინე-დეგუსტატორისთვის“ თანამშრომლობა მიმდინარეობს 6 საწარმოსთან, ხოლო „მარნის გიდის“ პროგრამისათვის 4-თან.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა, ესაუბრათ პარტნიორებთან თანამშრომლობის შესახებ და იმ სხვა ქვესტანდარტებზე (2.1 და 1.7), რომლებთან დაკავშირებითაც გაიცა რეკომენდაციები. კოლეჯის წარმომადგენელმა, ბატონმა თემურ ღვინიაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ერთ-ერთი განმახორციელებელი არის აკადემიური დოქტორი მეღვინეობის მიმართულებით. მან 3 წელი ისწავლა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დაიცვა დისერტაცია მეღვინეობის მიმართულებით, აქვს სამეცნიერო შრომები. თავადაც ასევე პროგრამის განმახორციელებელია, აქვს ამ სფეროში ლექციების კითხვის გამოცდილება. დაცული აქვს სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციები. მათი მიზანია ბაღდათის რეგიონში შეიქმნას სასწავლებელი, რომელიც დახმარებას გაუწევს იმ ადგილობრივ მევენახეებს, რომელთაც სურთ მიიღონ თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ახალი ტექნიკური საშუალებებით. შერჩეულია რამდენიმე მარანი და გილდია. დავით ლელაძის საოჯახო მარანი შეირჩა ალადასტური როზეს წარმოებისათვის, ეს ნახევრად ტკბილი ღვინო გასულ წელს პოლონეთში საერთაშორისო კონკურსის ლაურეანტი გახდა. ამასთანავე, რთველი მიმდინარეობს გვიან შემოდგომაზე და ყურძნის შრომას მიმართავენ ტირიფის ჩელტებზე. „დიტოს მარანი“ ერთადერთია, რომელსაც რეგიონისათვის არადამახასიათებელი ყურძნის ჯიშების ვენახები აქვს. ადრე შემოდგომაზე ამუშავებს სხვადასხვა ტიპის ღვინოს. ბაია აბულაძის მარანი შეირჩა ცოლიკაურისა და ციცქას სანიმუშო ვენახების ყურძნის ნედლეულიდან იმერული წესით ცოლიკაურის თეთრი ნატურალური ღვინოსა და ე.წ. პეტნატების წარმოების გამო. ასევე მისი მარანი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. ჭრელაშვილების საოჯახო მარანი შეირჩა საკუთარი ცოლიკაურის ვენახებიდან ევროპული ტექნოლოგიით ცოლიკაურის ნატურალური ღვინოების დამზადებისათვის. ტარიელ მიქაბაძის საოჯახო მარანი შეირჩა იმერეთის სავიზიტო ბარათად წოდებული ჯიშების ზელშავისა და კრაზუნასაგან შესაბამისი ყურძნის ტიპის ღვინო-მასალების წარმოებისათვის. ა(ა)იპ ბაღდათის ოჯახური მარნების გილდია დაწესებულებას ეხმარება ახალი, დასრულებული მარნების ძიებაში, სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში, ტრენინგების, შეხვედრების, გაცვლითი ტურებისა და სხვა აქტივობების ორგანიზებაში. კოლეჯს შეძენილი აქვს თანამედროვე ტექნიკური საშუალებები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოკლევადიანი პროგრამებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის პარტნიორული ურთიერთობები. მან ასევე სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, ყურადღება გაემახვილებინა რეკომენდაციაში გათვალისწინებულ ფაქტორებზე - „დაზუსტდეს პარტნიორ საწარმოებში ვიზიტების რაოდენობა და მიზნობრიობა, განისაზღვროს პროგრამის რა ნაწილში დგება შედეგზე ორიენტირებული პარტნიორული თანამშრომლობა, შესაბამისად, დასაბუთდეს 6 (ექვსი) პარტნიორთან ეფექტური თანამშრომლობა.“ დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ პროგრამაში გაერთიანებულია 4 მოდული. ისწავლება როგორც ნატურალური, ისე სპეციალური ღვინოების ტექნოლოგია, იმ ტექნოლოგიურ პროცესებს, რომელთა შესახებაც ნაკლები განათლება აქვთ ადგილობრივ მეღვინე-მევენახეებს. ისინი უნდა გაეცნონ მიზნობრივი ღვინისათვის საჭირო ნედლეულის შერჩევას ვენახებიდან, ხარისხობრივი პარამეტრების შერჩევას, ვინიფიკაციის წარმოებას. სტუდენტები როგორც ვენახში, ისე მარანში გაეცნობიან ყურძნის გადამუშავების, ვინიფიკაციისა და შესაბამის ტექნოლოგიურ პროცესებს. 5 პარტნიორი კომპანია ისეა შერჩეული, რომ რთველის პერიოდი ადრე შემდგომიდან გვიან შემოდგომამდე გაწერილი იყოს რთველის სხვადასხვა პერიოდისა და სხვადასხვა ტიპის ღვინოსთვის. მსმენელი პროცესებს გაეცნობა საწარმოში. სილაბუსების შედგენის დროს ეს ყველაფერი უფრო ზუსტად გაიწერება.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, გაიცეს თუ არა ერთთვისანი ვადა გეგმის შესადგენად, ვინაიდან რეკომენდაცია ეხება პროგრამასა და განმახორციელებელ პირებთან შედეგებზე გასვლას. ექსპერტმა დასძინა, რომ რამდენადაც პროგრამაში არ ჩანს ვიზიტები და წარმოდგენილი არ არის განრიგები, სჯობს დაზუსტდეს ისინი.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ქალბატონი ნანი დალაქიშვილი დაინტერესდა იმ ფაქტით, რომ პროგრამას ჰქვია „მეღვინე-დეგუსტატორი“, თუმცა ძირითადი აქცენტი გადატანილია წარმოებაზე და მხოლოდ პროგრამის მცირე ნაწილი ეთმობა დეგუსტაციას. მისი შეფასებით, პროგრამას ამ კუთხით სჭირდება გაძლიერება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ცალკე აღებული მეღვინეობის პროგრამების მოცულობა და დეგუსტატორის პროგრამების მოცულობა, ასევე მათთვის საჭირო თემატიკა პროპორციულად თანაბარი არაა. დროითი საჭიროება და გაწეული ძალისხმევა მეღვინეობის პროგრამისათვის გაცილებით დიდი შეიძლება იყოს. მან ასევე ისაუბრა კადრების კვალიფიკაციის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, პროგრამის ერთ-ერთი განმახორციელებელი არის აკადემიური დოქტორი მეღვინეობის მიმართულებით, თუმცა ეს არ ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტებში. დოკუმენტებში მოცემულია, რომ ის არის სასურსათო ტექნოლოგიების დოქტორი.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ სიფრთხილესა საჭირო მოკლევადიანი პროგრამების შემუშავებისას. სწორად უნდა განისაზღვროს პროგრამის სახელწოდებასთან მიმართებაში, რა ისწავლება, რა შედეგები მიიღწევა, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, პროგრამაში არ ჩანს ვიზიტები და წარმოდგენილი არ არის განრიგები, სჯობს დაზუსტდეს ისინი და ა.შ. ამიტომ სჯობს საკითხი დადგეს ერთი თვის ვადის მიცემასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „იბერიისთვის“ „მეღვინე-დეგუსტატორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ: 212682051) განესაზღვროს ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - მეღვინე-დეგუსტატორი /01277/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

2. სსიპ კოლეჯ „იბერიისთვის“ – „მარნის გიდი“ /01266/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 იანვრის №65222 ბრძანების საფუძველზე, ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ და დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „მარნის გიდი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2022 წლის 10 თებერვალს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ მისამართზე - იმერეთის რეგიონი, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №112.

ვიზიტები განხორციელდა პროგრამის ორ პარტნიორთან - სოფ. ოზჩაში ი/მ თამარი ღვალაძე (მაია აბულაძის მარანი) და სოფელ წითელხევში ფიზიკური პირი მაკა გელენიძე (დიტოს მარანი).

პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა - 16 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ. №112.

ვიზიტის დროს გამოვლინდა **ხარვეზები:**

1.2 ქვესტანდარტი პროგრამის შინაარსი მორგებულია კონკრეტულ რეგიონს, მსმენელს აწვდის ინფორმაციას განხორციელების ადგილის შესახებ მისი ისტორიული, კულტურული, ტრადიციების და სხვა მიმართულებით. რეგიონული ნიშანი, კონკრეტული რეგიონი (იმერეთი) არ არის ასახული პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებაში „მარნის გიდი“.

პროფესიული მომზადების პროგრამაში არ ჩანს, რომ ნაგულისხმევია ე.წ. „სტაციონარული მომსახურების“ გიდის მომზადება მარანში ვიზიტორთა დასახვედრად და არ არის გათვლილი ტურების მომზადებაზე გადაადგილებით, სხვადასხვა ლოკაციაზე.

შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არის შეცდომაში შემყვანი. რეკომენდებულია სახელწოდებაში აისახოს როგორც რეგიონული ნიშანი, ისე ადგილზე მომსახურების გიდის მიმართულება.

ასევე გაიცა რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.4 „მარნის გიდის“ პროფესიული მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულს შესაბამის შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის ესაჭიროება საკომუნიკაციო ენობრივი კომპეტენციები, რაც არ არის წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებული.

რეკომენდებულია, მსმენელთა შერჩევასას გასაუბრების კრიტერიუმებში გათვალისწინებული იყოს ენობრივი კომპეტენციის ფლობა კომუნიკაციის დონეზე (B1);

ქვესტანდარტი 1.9 რეკომენდებულია, დაზუსტდეს პარტნიორ საწარმოებში ვიზიტების რაოდენობა და მიზნობრიობა, შესაბამისად, დასაბუთდეს 4 პარტნიორთან ეფექტური თანამშრომლობა;

ქვესტანდარტი 2.1 რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა ერთ-ერთმა პირმა (მ.გ) აიმაღლოს მიზნობრივი კვალიფიკაცია, რადგან დარგთან არანაირი შემხებლობა არ ჩანს მის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაში როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე გასაუბრებით.

ქვესტანდარტი 3.3 რეკომენდებულია პროგრამის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისას დაზუსტდეს, რომ „მარნის გიდის“ პროფესიული მომზადების პროგრამა ე.წ. „სტაციონარული მომსახურების“, ანუ ადგილზე, მარანში მომსახურების გიდს ამზადებს ვიზიტორთა დასახვედრად.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავდა კონკრეტულად მარნის გიდისთვის ამ სახელწოდებით. გარკვეული იყო დასაქმების პერსპექტივა და მოთხოვნა ამ კვალიფიკაციაზე, ვინაიდან იზრდება ღვინის წარმოება, მათ შორის, მცირე მარნების რაოდენობა რეგიონში. კოლეჯი არ იზიარებს აზრს, რომ ამ მიმართულებით შეიძლება იყოს დასაქმების პრობლემა ან ის, რომ შინაარსი მორგებულია კონკრეტულ რეგიონს. ეს კვალიფიკაცია წარმატებით შეიძლება იყოს გამოყენებული რეგიონის გარეთ. თუკი სხვა პროფესიულ სასწავლებლებს ექნებათ სურვილი რეგიონებში მსგავსი პროგრამების განხორციელებისა, უკვე პრაქტიკაზე იქნება ის დაფუძნებული და შეეძლება მარტივად გადაიღონ. გიდის პროფესია მოთხოვნიდა და სრულიად რეალურია მისი განხორციელება, რაც აისახა პროგრამასა და მის სახელში. ადგილებს, როგორცაა მუხეუმები და საწარმოები, ჩვეულებრივ აუცილებლად ჰყავთ ადგილის გიდი მასპინძლობის გასაწევად. რაც შეეხება ენის საკითხს, ენის ცოდნა კვალიფიკაციისთვის აუცილებელი არ არის, თუმცა შეიძლება სასურველი იყოს. გიდმა, რომელიც ახლავს ჯგუფს, შეიძლება შეითავსოს თარჯიმნის ფუნქცია. ადგილობრივს, მარნის მფლობელსა და მის წარმომადგენელს, რომელმაც ენა არ იცის, აქვს საშუალება, რომ ენის ცოდნის ნაკლებობის მიუხედავად, ეს ფუნქცია განახორციელოს წარმატებით.

საბჭოს წევრი ნატო მებურიშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ შეიძლება, რომ პროგრამას ერქვას „ღვინის გიდი“. დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ შესაძლებელია, მაგრამ კვალიფიკაცია არის ადგილისთვის, მარნისთვის. ქართულში არის უნიკალური ლექსიკონი ღვინოს, ვაზის, ვენახთან მიმართებით, ამიტომ კარგია, თუკი მოხდება ამ ლინგვისტური მოცემულობის გამოყენება. ადგილის, საწარმოსთან და უშუალოდ მეღვინეობასთან დაკავშირებულ გიდს დაერქმევა „მარნის გიდი“. „ღვინის გიდი“ არის ის, ვინც გადაადგილდება რეგიონული დონიდან ან ზევით, საწარმოებს შორის, ღვინის ტურებზე და ა.შ. „მარნის გიდი“ უფრო საწყისი დონისთვის არის შემუშავებული, შესაბამისად, მინიმალურ მოთხოვნებამდე იქნა დაყვანილი კანდიდატის კვალიფიკაციები. სახელწოდება „მარნის გიდი“ ამგვარ (საწარმოზე მიმდგრებულ) ფუნქციაზეა მორგებული. დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ მოცემულ სახელს უკეთესი ალტერნატივა შეიძლება არც ჰქონდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია პროგრამისათვის საჭირო საკომუნიკაციო ენობრივი კომპეტენციების შესახებ.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ აღნიშნა, რომ გიდის მიმართულებით ბევრი პროგრამა იყო შემოტანილი. არის კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არიან ისინი მორგებული საჭიროებას. საბჭოს წევრისთვის ბუნდოვანია საკითხები, რომლებიც პროგრამის მეშვეობით გადაიჭრება. ასევე, ენა არის კომუნიკაციის მთავარი ასპექტი, უნდა იყოს შესაძლებელი კომუნიკაცია სხვა ენაზეც, თუკი ამის საჭიროება წამოიჭრება. გიდმა უნდა იცოდეს ენა. ტურისტულ ლოტებს ბეიჯებზე აქვთ იმ ენის მანიშნებლები, რომლებზეც შეუძლიათ კომუნიკაცია. ბევრ ქვეყანაში გიდობა რეგულირებული საქმიანობაა, რაც ნიშნავს იმას, რომ აბარებენ 2 გამოცდას: ადგილმდებარეობისა და ენის. საბჭოს წევრისთვის მიუღებელია მოსაზრებები, რომ ენის ცოდნა არ არის აუცილებელი და რომ მარანი შეიძლება მუზეუმს გაუტოლდეს.

ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კვლევაში ცალსახადაა ნაჩვენები, რომ ქართულენოვან გიდებზე არის მოთხოვნა. ექსპერტმა ჩაატარა ალტერნატიული კვლევა, რომელიც არ ეთანხმება წარმოდგენილ კვლევას. ნაკლებად სარწმუნოა, რომ არსებული შესაძლებლობების მარნები დაასაქმებენ ამ ტიპის კადრს, თანაც ქართულენოვანს. ასევე, მარნის გიდის ქვეშ მოაზრებული პროგრამა იხრება ღვინისკენ, არ არის პუნქტები თავად მარანზე და მის მოწყობაზე, ამიტომ ექსპერტი არ ეთანხმება მტკიცებას, რომ სახელწოდება უალტერნატივოა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუკი გიდი ფიზიკურად არის მარანში ან წარმოებაში, მას ფუნქციის შესაბამისი სახელი უნდა ერქვას. რაც შეეხება მუზეუმისა და გიდის შედარებას, ამზადებენ ზუსტად ამ ფუნქციის გიდებს. არაერთ მეღვინეობას ჰყავს ის, რომელსაც თავად ამზადებს. ბიზნესს აქვს ამ კვალიფიკაციის მოთხოვნა. გიდის ბარათზე არის აღნიშნული ენები, რომელსაც გიდი ფლობს, თუკი პირი საუბრობს სახელმწიფო ენაზე, ის ვერ აიყვანს უცხოენოვან ჯგუფს, თუმცა ქართველ ვიზიტორს გაუწევს მომსახურებას. აღნიშნულის საპასუხოდ, ექსპერტმა დასძინა, რომ კითხვარებში არცერთი დამსაქმებელი არ წერს, რომ აიყვანს ქართულენოვან გიდს. ტურისტს ასევე აინტერესებს ფოლკლორი, წარმოება, ტექნოლოგია, მრავალწლიანი ტრადიცია, რომლებზეც აუცილებლად ექნება კითხვები, თუმცა პროგრამაში შესაბამისი პუნქტი არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ყურადღება გაემახვილებინა ექსპერტის მიერ დასახელებულ შენიშვნებზე.

კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენიშვნები ძირითადად ეხება 2 საკითხს: სახელწოდება და ენა. სახელწოდება, რომლისთვისაც უშუალოდ დაიწერა პროგრამა. გიდის მომზადება ხდება საწარმოსთვის. გარდა გიდობისა, ჩამატებულია სომელიეს ფუნქციები. ვაზის, ღვინის, ღვინის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ პროგრამაში არის ის ნაწილები, რომლებიც საჭიროა მარნის გიდისთვის. პროგრამა შეიქმნა სახელისთვის და არა პირიქით. ეს არის საწყისი დონე, ზრდის პერსპექტივის თვალსაზრისით, ის შეიძლება რეგიონალური გიდი გახდეს, რომელიც ჯგუფებს დაყვება. გიდობა ძირითადად ეფუძნება პრაქტიკას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პარტნიორი ორგანიზაციებით, რომლებიც მზაობას გამოთქვამენ მარნის გიდის დასაქმებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ მზაობა გამოიხატება ადგილის გიდის მოთხოვნით. ბიზნესი და კომპანიები საკუთარ კადრებს ამზადებენ, ტურის წინ ეწყობა ინსტრუქტაჟი, სეზონის დაწყებამდე კი ხდება მომზადების ინიცირება.

საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ა(ა)იპ განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC) წარმომადგენელმა. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ისწავლე დასაქმებისთვის“ ფარგლებში. განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს აქვს პარტნიორული ურთიერთობა კოლეჯ „იბერიასთან“. პროგრამის შემუშავებას წინ უძღოდა შრომის ბაზრის სიდრმისეული კვლევა.

კვლევის პირობებში შესწავლილ იქნა ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებული 69 ღვინის მარანი, რითაც დასტურდება, რომ ამ მიმართულებით საჭიროებენ კადრებს. ყველა შემთხვევაში არ იგულისხმება სრულგანაკვეთიანი სამუშაო, თუმცა დასაქმების პოტენციალი დიდია. განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი პროცესში ერთვება დასაქმების კომპონენტით. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა სამსახურის მაძიებლებთან, მათი მოძიებისა და პროფესიულ კურსებში ჩართვის კუთხით. პროცესში ასევე ერთვება სახელმწიფო სტაჟირების პროგრამა. ამით ადამიანებს ეძლევათ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობა. არის მოლოდინი, რომ კურსდამთავრებულების მინიმუმ 60% სტაბილურად დასაქმდება.

საკუთარი პოზიცია დააფიქსირა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა „მარნის გიდის“ სახელწოდებისთვის შეიქმნა, ტექსტში ძირითადად ღვინის გიდია ნახსენები. ამგვარი დეტალი შეიძლება არ იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ არის დასარეგულირებელი. დაწყებული იყო მუშაობა ამ თემაზე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომ შემუშავებულიყო ჩარჩო, რომელსაც ყველა ტიპის გიდი უნდა აკმაყოფილებდეს. აღნიშნული ბევრ სადაო საკითხს მოაგვარებდა, თუმცა სამუშაო ჯგუფმა შეწყვიტა მუშაობა. აშკარაა, რომ საჭიროა გიდების თემის სხვა რანგში გადატანა. სასურველია, პროგრამის შექმნის ეტაპზევე გათვალისწინებული იყოს მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციები და მიდგომები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტერიტორიაზე (ბაღდათის მუნიციპალიტეტი), სადაც პროგრამა მზადდება არის ღვინის სარდაფები და მარნები. მათთან ხშირად ხდება შეხვედრა. მარნის გიდის კვალიფიკაციის პირებს დიდი შანსი აქვთ ამ მარნებში დასაქმებისა.

საბჭოს წევრმა ნატო მეზურიშვილმა ისაუბრა პროგრამის შესახებ და დასძინა, რომ მასში საკმარისადაა ის თემატიკები, რომ მას ერქვას „ღვინის გიდი“. ქვეყანაში არის არა გიდების რაოდენობის, არამედ პროფესიონალი გიდების პრობლემა. ენის მოთხოვნის გარეშე პროგრამას შეიძლება ერქვას „ქართულენოვანი ღვინის გიდი.“

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა საწარმოსთვის, ადგილისთვის დაიწერა. ქართული კანონმდებლობით არანაირად არ რეგულირდება კვალიფიკაციები ამ კუთხით არც ლიცენზიებით და არც სერტიფიკატებით. გიდების პროფესიული ასოციაციები კერძო ინიციატივებია. სახელმწიფო ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც ღვინის ბიზნესმა მას უკარნახა. კარგი იქნებოდა არსებობდეს სერვისის სტანდარტი იმაზე სადაოდ, თუ რა სახელი უნდა შეირჩეს, ან რა ენობრივი კვალიფიკაცია უნდა მოითხოვებოდეს. თუმცა ეს ცალკე საკითხია. ადგილის გიდის კვალიფიკაციისთვის, ზოგადად „ღვინის გიდის“ სახელის მინიჭება კოლეჯის წარმომადგენლის პოზიციით არ არის მართებული, ვინაიდან ეს უკანასკნელი უფრო მაღალი დონის კვალიფიკაციაა და სხვა ტიპის მომზადებას საჭიროებს. ენის საკითხი გამომდინარეობს ბაზრის მოთხოვნიდან. თუკი სერვისის შესრულება ხერხდება იმ ენაზე, რომელსაც ფლობს პირი, დამატებითი ენის ცოდნის მოთხოვნით მისთვის ხელოვნურად იქმნება ბარიერი.

საბჭოს წევრი გიორგი გამყრელიძე დაინტერესდა იმით, რომ როდესაც საუბარია მარანზე, მოიაზრება თუ არა მასში ერთი მარანი აგებით, როგორც ტერიტორიული ერთეული, რომლის დათვალიერებაც მოხდება. მეორე საკითხია, როდესაც რაღაც ტერიტორიულ ერთეულში (რეგიონში) არსებულ მარნებზეა საუბარი და გიდმა იცის სად არის ისინი განლაგებული. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა ცალკეული მარნების გიდის მომზადებას

ისახავს მიზნად, რომელმაც ყველაფერი იცის ერთი კონკრეტული მარნის შესახებ. როდესაც აბსტრაქტულად მარანზეა საუბარი, მაშინ რაღაც სახით აღწერილი უნდა იყოს მარნის გაგება. ტურისტს შესაძლოა აინტერესებდეს მეღვინეობა და რეგიონში ვიზიტისას ღირსშესანიშნაობის ნაცვლად სურდეს დაათვალიეროს მარნები. ამ შემთხვევაში უფრო საინტერესოა, როდესაც გიდს შეუძლია, ტურისტს დაათვალიერებინოს რეგიონში არსებული სხვადასხვა მარანი. საჭიროა იყოს ხარისხი, პროგრამა იყოს ორიენტირებული და არსებობდეს დასაქმების შესაძლებლობა.

საკითხის შესახებ კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრმა ნიკოლოზ მესხიშვილმა. რადგან კერძო სექტორი თვლის, რომ კვალიფიკაციის სახელი შეიძლება იყოს „მარნის გიდი“, კოლეჯს აქვს უფლება ასეთი სახელით ჰქონდეს პროგრამა. მარკეტინგული თვალსაზრისით დაწესებულებებს თავად შეუძლიათ, შეარჩიონ სახელწოდების ფორმა, მთავარია ის არ არღვევდეს შინაარსს. გიდის მიმართ არის მოლოდინი, ფლობდეს უცხო ენებს, თუმცა თუკი მიზნობრივი ჯგუფი არის ქართულენოვანი მოსახლეობა, მაშინ არ არის საჭიროება ენის ცოდნისა - ის იქნება კონკრეტულად ქართულენოვანი გიდი. იყო პრეცედენტი იმისა, რომ რეგიონული ტურის მეგზურს ფრჩხილებში მიეწერა „ქართულენოვანი“, რათა კერძო სექტორი არ შესულიყო შეცდომაში. იგივე პრეცედენტი შეიძლება არსებობდეს „მარნის გიდის“ შემთხვევაშიც. დამსაქმებელი შესაძლოა ეძებდეს უცხოენოვან კადრს, მაგრამ არ შეეძლოს დამოუკიდებლად შეაფასოს კადრის ენობრივი ცოდნა. ასეთ შემთხვევაში ის ენობა სერტიფიკატს. არის რისკი, რომ თავად აპლიკანტმაც შეიყვანოს ის შეცდომაში და გადაჭარბებულად წარმოაჩინოს საკუთარი ენობრივი კვალიფიკაცია, შედეგად კი მუშაობის პროცესში ანტირეკლამაც კი გაუწიოს მარანს. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ენის კვალიფიკაციის სახელწოდებაში აღნიშვნის საჭიროება არ არის. საწარმოში, სადაც არიან საკმარისი ენობრივი კვალიფიციური კადრები, ამ კადრებს ექნებათ ტენდენცია სამსახური დატოვონ უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს გამო, თუნდაც უფრო მსხვილ ქალაქში. ასევე ენობრივი საკითხის მოგვარება ჯგუფის თანმხლებ გიდს შეუძლია და ეს არ არის ადგილობრივი გიდის პირდაპირი მოვალეობა.

საბჭოს წევრი ნათია კვიციანი დაინტერესდა, რამდენად ისწავლება მარანთან დაკავშირებული კომპეტენციები (მარნის მოწყობა, მარანში ღვინის დაყენება, ქვევრიდან ღვინის ამოღება). კოლეჯის წარმომადგენელმა დასძინა, რომ პროგრამა მოიცავს ტრადიციული ქართული მარნის აღწერას, საწარმოს აღწერასა და ღვინის დაყენების ელემენტარულ პროცესებს.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები თვლიან, რომ საჭიროა უცხო ენის ცოდნა, ვინაიდან ღვინის ტურიზმით დაინტერესებულნი ძირითადად არიან უცხოელები. ასევე, ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს შინაარსი და სახელწოდება. ყურადღება გამახვილდა შრომის ბაზრის მოთხოვნაზეც. მიუხედავად წარმოდგენილი კვლევისა, დამაფიქრებელი იყო ის, რომ ექსპერტმა დაინახა საჭიროება თავად ჩაეტარებინა კვლევა. დასაზუსტებელია, ნამდვილად არის თუ არა მსგავს კადრებზე მოთხოვნა და რამდენად უკავშირდება ის დასაქმების, მეწარმეობის პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. აუცილებელი არ არის დასაქმებაზე ყურადღების გამახვილება, რადგანაც ეს პიროვნულ განვითარებას შეიძლება უკავშირდებოდეს და მარნის მფლობელს თავადვე სურდეს პროგრამის გავლა, მაგრამ ამ კუთხით საჭიროა დამატებითი ინფორმაცია. დაწესებულებას ეძლევა ერთი თვის ვადა.

კოლეჯ „იბერიის“ წარმომადგენელი დაინტერესდა, თუკი უპირატესობას მიანიჭებენ უცხო ენის მცოდნე აპლიკანტებს, მოგვარდება თუ არა ენობრივ საკითხთან დაკავშირებული პრობლემა. საბჭოს წევრები თვლიან, რომ აღნიშნულ პროგრამაზე აუცილებელია უცხო ენის ცოდნა, თუმცა არსებობს რამდენიმე ალტერნატივა: სახელწოდებაში დაფიქსირდეს სიტყვა

„ქართულენოვანი“ (ამ შემთხვევაში საჭიროა ქართულენოვან გიდებზე შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევა), წინაპირობად წარმოდგენილი იყოს ენაზე მოთხოვნა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამების პაკეტში უკვე ჩადებულ კვლევაში არ ჩანს ის, რომ ადგილობრივ საწარმოებს (მარნები არ არის ნახსენები) სჭირდებათ ქართულენოვანი გიდი დასაქმების ან თვითგადამზადების მიზნით. ასევე აღნიშნა, რომ უპირატესობას ანიჭებს იდეას, აპლიკანტებისთვის უცხო ენის რაღაც დონის მოთხოვნის შესახებ. გამოითქვა ასევე მოსაზრება, რომ ენობრივი შეზღუდვის პირობებში რთული იქნება მიღება, რომლის პასუხადაც ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა დასძინა, რომ მიღება შეიძლება გართულდეს, მაგრამ თუკი მსმენელებს არ ეცოდინებათ უცხო ენა, ისინი პროგრამას ვერ გამოიყენებენ. დაწესებულებებს შეუძლიათ პროგრამის წარდგენა დასაქმების სააგენტოში სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების მიზნით, თუმცა სააგენტო ყურადღებას აქცევს დასაქმების მაჩვენებელს. ამიტომ საჭიროა ორიენტირება ისე, რომ დასაქმების საკითხი იყოს გათვალისწინებული.

კოლეჯ „იბერიის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთი და იგივე რამ მოიაზრებოდა, როდესაც საუბარი იყო მარანსა და საწარმოზე. სწავლებისათვის თარგმნილია უცხოური წყაროები, ტერმინოლოგიები კი უცხო ენაზე არის დატოვებული, თუმცა მათ გამოყენებასა და დასწავლას უცხო ენის ცოდნა არ სჭირდება. პროგრამაში არის გიდისა და სომელიეს ფუნქციების სინთეზი. გიდის კვალიფიკაცია ეფუძნება მსოფლიო ფედერაციის მიერ შემუშავებულ კვალიფიკაციას. პროგრამაში მითითებული წყაროები ერთი ნაწილია მხოლოდ, ამასთან იქნება სახელმძღვანელოც. საწარმოს/მარანს შეუძლია პირდაპირ კვალიფიციურ კადრს მიმართოს, რომელსაც კოლეჯი ამზადებს. შეზღუდვით, პრაქტიკიდან გამომდინარე, თავად ბიზნესი აიღებს კადრების მომზადების ფუნქციას, საგანმანათლებლო სისტემა კი ამ პროცესის მიღმა დარჩება. ადგილზე, რეგიონში არ არიან ენის იმ დონეზე მცოდნე პირები, რომლებიც სასწავლო პროცესის წარმართვას შეძლებენ. ამავდროულად ენის მცოდნე ადამიანი სხვაგან ეძებს სამსახურს, პროგრამით დაინტერესებულ ენის არმცოდნეს კი ამის შესაძლებლობა ერთმევა.

ექსპერტმა დასძინა, რომ მარანი და საწარმო სხვადასხვა ინსტიტუციაა და ერთ კონტექსტში არ უნდა იყოს განხილული. მათი გამოყოფა საჭიროა ბაზართან მიმართებაში მეტად სწორ შედეგებზე გასასვლელად. დაწესებულების წარმომადგენელმა არ გაიზიარა შენიშვნა და განმარტა, რომ თუკი მარანი მოაზრებული იქნება ეთნოგრაფიული მარნის სახით, კვალიფიკაცია ძალიან დავიწროვდება. მარანი არის ღვინის საწარმოს აღმნიშვნელი ქართული ტერმინი. აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ნანი დალაქიშვილმა და აღნიშნა, რომ არსებობს GIZ-ის მხარდაჭერით ჩატარებული საქართველოს ღვინის ასოციაციის კვლევა, რომელშიც გამიჯნულია მცირე ზომის ღვინის საწარმო და მცირე ზომის ღვინის მარანი.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ იზიარებს დაწესებულების არგუმენტებს. ხარვეზები არსებობს სისტემაშიც, თუმცა მოკლე ვადაში ყველაფრის გადაწყვეტა ვერ მოხერხდება. ერთთვიანი ვადის მიცემა არის შესაძლებლობა პროგრამის შესახებ კიდევ ერთხელ დაფიქრებისა. დასახელდა ალტერნატივებიც, მაგრამ გადაჭრის გზა საბოლოოდ კოლეჯებმა უნდა აირჩიონ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „იბერიისთვის“ „მარნის გიდი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ: 212682051) განესაზღვროს ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - მარნის გიდი /01266/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. სსიპ კოლეჯ „ერქვანისთვის“ – „მარნის გიდი“ /01265/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა თეა მახათელაშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 28 იანვრის №78058 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „მარნის გიდი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2022 წლის 4 თებერვალს განახორციელეს დისტანციური ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ წარმომადგენლებთან. გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. პროგრამის სახეა მომზადება, პროგრამის ხანგრძლივობა - 16 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. №10, ვაჟა-ფშაველას ქ. №10.

ვიზიტის დროს გამოვლინდა **ხარვეზები:**

1.2 ქვესტანდარტი პროგრამის შინაარსი მორგებულია კონკრეტულ რეგიონს, მსმენელს აწვდის ინფორმაციას განხორციელების ადგილის შესახებ მისი ისტორიული, კულტურული, ტრადიციების და სხვა მიმართულებით. რეგიონული ნიშანი, კონკრეტული რეგიონი (იმერეთი) არ არის ასახული პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებაში „მარნის გიდი“.

პროფესიული მომზადების პროგრამაში არ ჩანს, რომ ნაგულისხმევია ე.წ. „სტაციონარული მომსახურების“ გიდის მომზადება მარანში ვიზიტორთა დასახვედრად და არ არის გათვლილი სხვადასხვა ლოკაციაზე გადაადგილებით ტურების მომზადებაზე.

შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არის შეცდომაში შემყვანი. რეკომენდებულია სახელწოდებაში აისახოს როგორც რეგიონული ნიშანი, ისე ადგილზე მომსახურების გიდის მიმართულება.

ასევე გაიცა რეკომენდაციები:

1.4 ქვესტანდარტი - „მარნის გიდის“ პროფესიული მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულს შესაბამის შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის ესაჭიროება საკომუნიკაციო ენობრივი კომპეტენციები, რაც არ არის წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებული.

რეკომენდებულია, მსმენელთა შერჩევისას გასაუბრების კრიტერიუმებში გათვალისწინებული იყოს ენობრივი კომპეტენციის ფლობა კომუნიკაციის დონეზე (B1);

2.1 ქვესტანდარტი რეკომენდებულია, ერთ-ერთი განმახორციელებელი პირის მიზნობრივი კვალიფიკაციის ამაღლება და

შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა პროგრამის განხორციელებამდე;

3.3 ქვესტანდარტი რეკომენდებულია პროგრამის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისას დაზუსტდეს, რომ „მარნის გიდის“ პროფესიული მომზადების პროგრამა ე.წ. „სტაციონარული მომსახურების“, ანუ ადგილზე მარანში მომსახურების გიდს ამზადებს ვიზიტორთა დასახვედრად.

საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ „ერქვანის“ პროგრამაში ფიგურირებს მარნის სპეციფიკა, ნახსენებია „მარნის გიდი“, მაშინ როდესაც „იბერიის“ პროგრამაში ეს სადაო იყო. „ერქვანის“ შემთხვევაში სახელწოდება და სწავლის შედეგები თანხვედრაშია ერთმანეთთან.

ექსპერტმა ისაუბრა იმაზე, რომ დაწესებულებების არგუმენტაციით, ადგილის გიდს არ სჭირდება ენობრივი კვალიფიკაცია, ვინაიდან ტურისტულ ჯგუფებს თან ახლავთ გიდი/გამყოლი, რომელიც თარჯიმნის ფუნქციას ითავსებს, თუმცა ექსპერტის შეფასებით, ჯგუფების უმრავლესობას ასეთი გამყოლი არ ჰყავს. შესაძლოა სახელწოდებაში „ქართულენოვანის“ ჩამატებით დასაქმების არეალი გაიზარდოს.

ა(ა)იპ განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში დაისვა პედაგოგების კვალიფიკაციის საკითხი. მოხდა პედაგოგების მოძიება, რომლებიც პარალელურად ღვინის საწარმოებსა და მარნებში საქმიანობენ. გარდა ამისა, დაგეგმილია ტრენინგი და იწერება სახელმძღვანელო დეტალური მითითებებითა და ინსტრუქციებით. ის კოლეჯის რესურსი იქნება და შეეძლება მისი გამოყენება-გავრცელება. ეს მოცემულ გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს კურსის სტაბილურად მიწოდებას.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები თვლიან, რომ საჭიროა უცხო ენის ცოდნა, ვინაიდან ღვინის ტურიზმით დაინტერესებულნი ძირითადად არიან უცხოელები. ასევე, ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს შენაარსი და სახელწოდება. ყურადღება გამახვილდა შრომის ბაზრის მოთხოვნაზეც. დასაზუსტებელია, ნამდვილად არის თუ არა მსგავს კადრებზე მოთხოვნა და რამდენად უკავშირდება ის დასაქმების, მეწარმეობის პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. აუცილებელი არ არის დასაქმებაზე ყურადღების გამახვილება, რადგანაც ეს პიროვნულ განვითარებას შეიძლება უკავშირდებოდეს და მარნის მფლობელს თავადვე სურდეს პროგრამის გავლა, მაგრამ ამ კუთხით საჭიროა დამატებითი ინფორმაცია. არსებობს რამდენიმე ალტერნატივა: სახელწოდებაში დაფიქსირდეს სიტყვა „ქართულენოვანი“ (ამ შემთხვევაში საჭიროა ქართულენოვან გიდებზე შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევა), წინაპირობად წარმოდგენილი იყოს ენაზე მოთხოვნა. დაწესებულებას ეძლევა ერთი თვის ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ერქვანისთვის“ „მარნის გიდი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) განესაზღვროს ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - მარნის გიდი /01265/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

4. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის – „ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა“ /01294/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა მათა აბდალაძემ. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 24 იანვრის №56742 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა ხათუნა ფარეიშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა, მათა აბდალაძემ 2022 წლის 8 თებერვალს განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯში, თბილისში, მისამართზე: სოფ.დილომი, დავით აღმაშენებლის ქ. №52, სადაც განთავსებულია პროგრამისთვის AC გარემო (სასწავლო სივრცე და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილი).

გასული წლის ივლისში კოლეჯს ჰქონდა შემოტანილი პროფესიული პროგრამა სახელწოდებით „ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება გადაკეთება“, რომელზეც საბჭომ უარი უთხრა.

კოლეჯმა მეორედ შემოიტანა პროგრამა, გაითვალისწინა წინა ვიზიტისას დაფიქსირებული შენიშვნები, რეკომენდაციები და წარმოადგინა სრულიად ახალი პროგრამა.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

პროგრამა არის უპრობლემო, საჭირო მატერიალური რესურსი სრულად არის შეძენილი. პროგრამაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა. გაიცა ერთი რეკომენდაცია, რომელზეც ისაუბრა დარგის ექსპერტმა ხათუნა ფარეიშვილმა:

1.9 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, კოლეჯმა უზრუნველყოს პარალელურად, პრაქტიკის განმახორციელებელ სხვა ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმება. ასევე ხელშეკრულებაში გაიწეროს როგორც პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე მიეთითოს პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა (რა თქმა უნდა პრაქტიკის ობიექტთან შეთანხმებით) რასაც მომზადების პროცესს უფრო სტაბილურს გახდის.

არსებული მოცემულობით პროგრამით გათვალისწინებული შედეგები მიიღწევა, თუმცა რეზერვის სახით თავის დაზღვევის მიზნით უმჯობესი იქნება პრაქტიკის განმახორციელებლის დამატება.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა AC გარემოსა და ბიბლიოთეკის ამსახველი ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებული და გაზიარებულია, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ პანდემიის პერიოდში ხშირად იხურება საწარმოები. პროგრამის განმახორციელებელი პირის დახმარებით, საბჭოს დანიშვნამდე გაფორმდა მეორე მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ დასძინა, რომ გონივრული მოთხოვნები განვითარებას უწყობს ხელს. სასიხარულოა, რომ საბჭოს აქვს პროგრესის ხილვის საშუალება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისათვის – „ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 404379070) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა“ /01294/ (დანართი 1).

5. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ცურვის ინსტრუქტორი“ /01207/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 20 დეკემბრის №1392928 გადაწყვეტილებით სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს „ცურვის ინსტრუქტორის“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად მიეცა 30 დღიანი ვადა. კოლეჯმა 2021 წლის 24 დეკემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა წერილი ხარვეზის გამოსწორების შესახებ (განაცხადის ID 01207).

წინა ვიზიტის დროს დაფიქსირდა **ხარვეზი:**

2.2 ქვესტანდარტი დაწესებულება თანამშრომლობდა შპს ზევსთან. ვიზიტის დროს მოხდა საცურაო აუზის დათვალიერება. პროგრამა პრაქტიკული მეცადინეობების განსახორციელებლად არ იყო უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსემელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 24 იანვრის №59036 ბრძანების შესაბამისად, პროფესიული მომზადების პროგრამის „ცურვის ინსტრუქტორი“ მთავრობის №131 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტთან (პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები) შესაბამისობის დადგენის მიზნით, განხორციელდა ვიზიტი 2021 წლის 31 იანვარს, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში. გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ვიზიტი განხორციელდა პრაქტიკის ახალ ობიექტზე - შპს „არენას“ საცურაო აუზზე.

2021 წლის 14 დეკემბერს ხელშეკრულება გაფორმდა კოლეჯსა და შპს „არენას“ შორის საცურაო აუზით სარგებლობის თაობაზე. შესაბამისად, პროგრამის შესაბამისი C გარემო მდებარეობს მისამართზე, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ვიზიტის დროს მოხდა საცურაო აუზის ადგილზე დათვალიერება. საცურაო აუზი კეთილმოწყობილია, სრულყოფილად აღჭურვილია პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად მისაღწევად, მსმენელებისთვის პრაქტიკის მიზნებისთვის საცურაო დაფებით, ლასტებით და ასევე, გადმოსახტომი ტუმბოებით.

პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 8, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55.

ფოტომასალის საშუალებით წარმოდგენილი იყო სასწავლო გარემო, ძველი და ახალი C გარემო (საცურაო აუზები).

ხარვეზი არ დაფიქსირებულა, წარმოდგენილია შესაბამისი მატერიალური რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ცურვის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:


დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ცურვის ინსტრუქტორი /01207/ **(დანართი 2)**.

საბჭოს სხდომა 12:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01294	ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა	პროფესიული მომზადება	მესამე	16	ქართული	12	ქ. თბილისი, სოფ. დილომი, დავით აღმაშენებლის ქ. №52

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01207	ცურვის ინსტრუქტორი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	10	ქართული	8	ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55